# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 111 შაბათი, 23 მაისი 1909 წ. № 111

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ [illegible] დაუ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

---

# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ.,ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.**

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

---

კვირას, 24 მაისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში (ახალ ეკლესიაში) გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### გიორგი დავითის ძის აგლაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **მართა დავითის ასული აგლაძისა** შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1—1)

---

**პორფირი სვიმონის ძე გოცირიძე, პლატონ, ლილოსი და ბარდლა კორძაიები, ნინო და ზურაბ გველესიანნი და სარდიონ ფაღავა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მაისს, გარდახდილი იქნება ქუთაისში, საფიჩხიის ეკლესიაში, ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

### ვერა პლატონის ასულის გოცირიძის

სულის მოსახსენებლად. (1—275—1)

---

მღვდელი **სიმონ მიტროფანეს ძე მიქაძე** და ძმები მისი **პავლე, ივანე, ლავრენტი. კირილე, სერაფიონ ანდრონიკე,** მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას ძვირფას დედის

### ელისაბედ გიორგის ასულისას,

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, დაესწრნენ გამოსვენებას, რომელიც დანიშნულია კვირას 24 ამ თვეს ნაშუადღევის 5 საათისთვის, სოფ. ქალბანში, ღვთის-მშობლის ეკლესიაში. (1—კვ.—1)

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 24 მაისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## მეზობლები

პიესა 4 მოქმ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი, ტ. საგინაშვილი, ა. ქიქოძე, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ანანიაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, გომელაური, მარკოზოვი, თუშმელაშვილი, ჯაბაური, ჩაგუნავა.

**დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.**

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 4 ივნისს. მზადდება წარმოსადგენად „სულელი", კომ. ფულდისა.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის ადგილებზე** ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აღკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

---

## მუშტაიდის ბაღში კვირას, 24 მაისს, 1909 წ.

საზოგადოება „განათლება" მართავს

## დიდს სეირნობას

1. გასართობები ბავშვებისათვის: შვილდისარი, ჯირითი ველოსიპედებით, კარუსელი და სხვა;
2. ბაზარი Boue de le chance, ვისია ყანწი, ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ყვავილები, კონფეტი, ტიროლელი მომღერალნი, სამხედრო მუსიკა და დუდუკი.

**დასაწყისი 2 საათზე.**

შესასვლელი ფასი 20 კაპ., ყმაწვილებისთვის 10 კ. (5—უ.—3)

---

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა **გიოტეს** უკვდავი ქმნილება

## ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

**ადრესი:** Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Волквадзе. (10—6.—7)

---

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

## საქართველოს სიძველენი

ტომი მეორე

## პალეოგრაფიულის ალბომით

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.**

**ფასი 3 მან. 50 კაპ.**

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—4)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 68)

---

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

---

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—83)

---

**ექიმი** ქუთაისში **მ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

---

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **მ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- **გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

- **ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- **ნ. გ. ქიქინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—65)

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

---

**ექიმი ა. დიასამიძე** სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში", ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

---

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—150)

---

### სახალხო უნივერსიტეტი

ზუბალაშვილის სახალხო სახლში ხვალ, 24 მაისს, ბ-ნი ერმოლაევი წაიკითხავს რუსულად ლექციას

## გარშინზე

(კრიტიკული მიმოხილვა).

ლექცია დაიწყება დილის 11 ს. ფასები შაური და ორი შაური. ბილეთები იყიდება კასაში დილით 12—2 საათზე და საღამოთი 6—8 საათზე. (2—1)

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წინამძღოლი

იწვევს გუბერნიის თავად-აზნაურთ **საგუბერნიო ჩვეულებრივ კრებაზე,** რომელიც მოხდება კვირას, 24 ამა მაისს, დილის 9 საათზე, თავად-აზნაურთა საზამთრო თეატრის შენობაში. (2—ნ.—1)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

---

„ტფილისის სობრანიე"

შაბათს, 23 მაისს, 1909 წელს, საზამთრო სადგომში

## საოჯახო საღამო

კონცერტი სიმებიან ორკესტრისა ს. პრესმანის და ა. ი. ფრინდელმანის გამგეობით.

სტუმრები მიიღებიან საზოგადო წესით; იხდიან შესასვლელს და კონცერტისას: მამაკაცები—1 მ., მანდილოსნები—50 კ.

**დასაწყისი საღ. 9 ს.** (274 1—1)

---

## ს.-პეტერბურგის საუნივერსიტეტო სტუდენტთა ჯგუფი

ამზადებს მოწაფეებს როგორც სამწიფის მოწმობის მისაღებად, ისე ყველა საშუალო კლასებსა და ხელახლა გამოცდის დასაჭერად. ყველა საგნებისათვის და უცხო ენებისათვის ცალ-ცალკე სპეციალისტები არიან. ყოველ მოწაფესთან მეცადინეობა ცალკე იქნება.

ადრესი: ტფილისი, ვარდისუბნის ქუჩა, სახლი N 3, სტუდ. მამრაძე. შეიძლება ადრესის „დროების" რედაქციაში დატოვება. (3—ნ.—3)

---

**ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის საბჭო**

აცხადებს, რომ განზრახულ

## სალიტერატურო კრებულის

მასალების წარდგენისთვის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 15 ივნისი. მასალა უნდა წარედგინოს საბჭოს მდივანს სვიმონ ყიფიანს. (5—უ—4)

---

**რესტორანი და ბაღი**

## პალერმო

(მიხაილოვის პროს., № 147).

სადილის დროს და აგრეთვე საღამოს 8 საათიდან ღამის 2 საათამდე ბერძნულ-რუმინიელი საკონცერტო **კაპელლა** ცნობილ ბარიტონის— **ა. პ. ბერნარდის** გამგეობით.

**სადილი:** 4 თავისაგან 1 მან., 3—75 კ., 2 თავისაგან 50 კ.

**სამზარეულოს განაგებს დახელოვნებული კულინარი.**

ბუფეტში მოიპოვება ყოველ-გვარი რუსეთისა და უცხოეთის სასმელები.

**რესტორანს აქვს ცალკე კაბინეტები**

მიიღება „ზაკაზები" სადილების, ვახშმებისა და ქორწილებისა. აგრეთვე ქირავდება სეირნობისა და ლატარეია-ალეგრის გასამართავად. (2—ჩიხ.—2)

---

## მიიღება ხელის მოწერა

## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. მიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—7)

---

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**თვით-მმართველობა ყარსში.**

21 მაისის სხდომაზე სათათბირომ განიხილა საინტერესო კანონ-პროექტი ყარსში თვით-მმართველობის შემოღების შესახებ. ამ კანონპროექტამდე სათათბირომ მეორედ განიხილა უკვე განხილული კანონპროექტი, სხვათა შორის, საავტორო უფლების და სტაროობრიადცების შესახებ. საავტორო უფლების ვადად პირველ განხილვის დროს სათათბირომ დააწესა 30 წელიწადი, ეხლა შესცვალა ეს ვადა და კვლავ 50 წელიწადი დააწესა. სტაროობრიადცების შესახებ კანონ-პროექტიც სათათბირომ მეორედაც იმ ცვლილებებით მიიღო, რომელიც კომისიამ შეიტანა.

ყარსში განუზრახავთ თვით-მმართველობის შემოღება, მაგრამ უმთავრესი ყურადღება იქ მცხოვრებ რუსებისთვის მიუქცევიათ. უნდა უზრუნველ ვყოთ წარმომადგენლობა რუსებისთვისაო. ამ აზრით საჭიროდ უცვნიათ, შემოიღონ ყარსში საქალაქო დებულება 1892 წლის 11 ივნისისა სრულად რუსებისთვის და შემოკლებით—არა რუსებისთვის.

სათათბიროში ამ კანონ-პროექტმა ცხარე კამათი გამოიწვია. წინააღუდგნენ კანონ-პროექტს მემარცხენენი—ჩხეიძე, ხასმამედოვი, მაქსუდოვი და სხვანი. სამაგიეროდ მემარჯვენეებმა და მათ შორის ტიმოშკინმა სთქვეს, რუსებს ყარსში და, საზოგადოდ, მთელ ამიერ-კავკასიაში ქალაქის საბჭოებში მესამედი ადგილი მაინც უნდა ეჭიროთო (რუსები ყარსში რვა პროცენტს შეადგენენ).

სათათბირომ არ შეიწყნარა მემარცხენეთა თხოვნა, რომ კანონპროექტი კომისიას გადასცემოდა ხელახლა შესამუშავებლად, და მიიღო იგი.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მაისი

### ოსმალეთი

**სალონიკი.** ჩრდილოეთ ალბანიაში აღმოაჩინეს მაჰმადიანთა კავშირის რამდენიმე განყოფილება. მაჰმადიანთა კავშირმა მოაწყო 31 მარტის არეულობა. იპოვეს მიწერ-მოწერა და საბუთები, საიდანაც ნათლადა სჩანს, რომ მაჰმადიანთა ცენტრალური კავშირი შემწეობას აძლევდა განყოფილებებს. განყოფილებები თავიანთ მხრივ ძველ რეჟიმის აღდგენაში შველოდნენ ცენტრილურ კავშირს. დააპატიმრეს განყოფილებათა ბევრი წევრი. ზოგი დატუსაღებული სალონიკში მოიყვანეს, ზოგი უსკიუბში გაჰგზავნეს. ყველა ამათ გაჰგზავნიან სტამბოლში და სამხედრო-საველე სამართალში მისცემენ.

**ვენა.** „კორესპონ.-ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: დრამაში მოჰკლეს ბოლგარელთა თემის მამასახლისი. ჰფიქრობენ, მამასახლისი ბერძნებმა მოჰკლესო.

**სტამბოლი.** „ტანინი" და „მიტხადი" სწერენ: ოსმალეთის მთავრობა ნებას არ მისცემს, რომ საბერძნეთმა დანიშნოს კუნძულ კრიტოსის კომისარი. ოსმალეთის მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი ექნება, რომ თითონ კრიტოსის მცხოვრებლებმა აირჩიონ კომისარი კომისრად შეიძლება იყოს უცხოეთის სამეფოსახლის წევრიც.

**სტამბოლი.** გაზეთების ცნობით, ჩამოვიდა ავღანისტანის პრინცი ბეგადარი. პრინცის აზრით, ხალიფობა ოსმალეთის სულთანს ეკუთვნის.

### საზღვარ-გარეთ.

**ბერლინი.** „ნორდ-დოიტშე-ალგემეინე.ცაიტუნგი" სწერს: ამ რამდენიმე დღის წინად გაზეთებმა სტამბოლიდან ცნობა მიიღეს. ამ ცნობით, ორ სახელმწიფოს ელჩები სტამბოლში ოსმალეთის მთავრობისგან ქრთამებს იღებდნენ. გერმანულმა პრესსამ იმ თავითვე არ დაიჯერა ეს ამბავი; ეს ამბავი თავიდან-ბოლომდის გამოგონილია.

**ფილადელფია.** ქალაქის ტრამვაის გაფიცვამ გუშინ დიდი არეულობა გამოიწვია. პოლიციამ იარაღს მიმართა. დაიჭრა 100 გაფიცული მუშა, დაიწვა 5 ვაგონი. სცემეს იმ მუშებს, რომელთაც ამხანაგების დაუკითხავად მუშაობა დაიწყეს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ მოისმინა კბილის ექიმთა სკოლის მოწაფის აზენშტეინის თხოვნა. აზენშტეინი თხოულობდა, მისი საქმე ხელ-ახლად გაირჩეს, რადგან ბევრი ახალი რამ გამოირკვა. აზენშტეინს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, შემდეგ უვადო კატორგად შეუცვალეს. სასამართლომ შეიწყნარა აზენშტეინის თხოვნა. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა პოლტავის „გოლოკთდის" რედაქტორის გერასიმოვიჩის საკასაციო საჩივარი. გერასიმოვიჩს სასამართლომ გადაუწყვიტა ციხე $1^1/_2$ წლით.

**ჰელსინგფორსი.** ნიკოლაევის ტაძარში გადახდილ წირვის შემდეგ გენერალ-გუბერნატორი, სენატორები, დეპუტატები და სხვანი გაემგზავრნენ საიმპერატორო სასახლეში. გენერალ-გუბერნატორმა ბეკმანმა ხალხის წარმომადგენლებს შემდეგის სიტყვით მიმართა: „ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავარმა მიბრძანა სეიმის გახსნის დროს გადმოგცეთ, რომ მათი უდიდებულესობა სალამს გიძღვნით. მისის უდიდებულესობის სახელით სეიმს ვხსნი". სენატორმა ელტმა ადგილობრივ ენებზე წაიკითხა ეს სიტყვა. სეიმის თავმჯდომარემ გენერალ-გუბერნატორს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „თქვენო მაღალ-აღმატებულებავ! ფინლიანდიის ახლად არჩეული სეიმი იგრძნობს, რომ შეასრულოს თავისი დიდი მოვალეობა, იგი დაეყრდნობა უფლებას. სეიმმა მთხოვა გადმოგცეთ, რომ მის უდიდებულესობას ჩვენი უქვეშევრდომილესი გრძნობა გადასცეთ"

**პეტერბურგი.** საღამოს 6 საათზე გარდაიცვალა სრულიად რუსეთის კათოლიკეთა მთავარი ეპისკოპოსი აპოლინარი ვნუკოვსკი.

---

## დაბა სამტრედიაში

კვირას, 31 მაისს, „ედემის" ბაღში, გაიმართება

## სეირნობა ლატარია-ალეგრით

**ქ. შ. წერა.კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ.**

ლატარია-ალეგრის მოწყობისთვის მიიღება ყოველნაირი შემოწირულება ნივთად თუ ფულად დიდის მადლობით შემდეგ პირებთან: დაბა სამტრედიაში: მ. ა. გლადკოვისასთან, რაჟდენ ნანეიშვილთან და ი. სიხარულიძესთან; კულაშში—ქ. ლ. მამფორიას ასულთან და საჭილაოში—ნ. კორძაიასასთან.

გამგე სეირნობა ლატარია-ალეგრისა **მ. ა. გლადკოვისა.** თავმჯდ. განყოფილებისა **გ. სიხარულიძე.** (5—ნ.—5)

---

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

---

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაშინი.** ანნა კაშინსკაიას ნაშთის საკურთხებლად იგზავნება მიტროპოლიტი ვლადიმირი. მოწვეულია 15 ეპისკოპოსი. მლოცველებს მისცემენ ცხელ წყალს, ჩაის და პურს. წესიერების დასაცველად კაიგზავნა 800 პოლიციელი და ორი პოლკი ჯარი.

**სტავროპოლი.** სამოსამართლო პალატამ 94 ბრალდებულიდან, რომელთაც სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის წევრობა ჰბრალდებოდათ, 17 სხვა და სხვა ვადით ციხე გადაუწყვიტა, დანარჩენები გაამართლა.

**პეტერბურგი.** ვლადიმირის გუბერნატორის განსაკუთრებული უფლებები 1910 წლის 5 იანვრამდის დარჩება ძალაში. პერმსა, სოლიკამსკსა, ორანსკსა, კურგურსა, კრასნა უფიმსკსა და ირბიტში გაძლიერებული წესები 1910 წლის 15 მაისამდის კიდევ დარჩება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **გ. ს. რცხილაძის დაპატიმრება.** გუშინ დააპატიმრეს ორი წლის წინად დაკეტილ გაზეთის „მეგობრის“ რედაქტორად ნამყოფი ნაფიცი ვექილი გ. რცხილაძე. როგორც ვიცით, რცხილაძის საქმე პალატამ სამჯერ განიხილა და სენატმა მხოლოდ მესამედ განაჩენი დაამტკიცა, რომლითაც რცხილაძეს ერთი წლით დაპატიმრება მიესაჯა. ამ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად დააპატიმრეს რცხილაძე.

✦ **საბჭოს სხდომა არ შესდგა.** 21 მაისისთვის დანიშნული სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი არ შესდგა ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ალბად ქალაქის მამები მოიქანცნენ, თანაც სიცხეები დადგა და ეხლა დასვენება ესაჭიროებათ...

✦ **ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება.** დღეს, 23 მაისისთვის, დანიშნულია ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. კრებას განსახილველად წარედგინება ანგარიში 1908 წლისა, ხარჯთ-აღრიცხვა 1908 წლისა, მოხსენებანი სადაო მამულების შესახებ, პროექტი ინსტრუქციისა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა გამგეობისათვის და სხვა. დასასრულ მოხდება არჩევნები ზედამხედველ კომიტეტის 8 წევრისა, გამგეობის ერთის დირექტორისა (ნაცვლად განსვენებულ ვ. სულხანიშვილისა) და დამფასებელ კომისიის სამის წევრისა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, 1908 წელს ბანკს წინა წელზე 1,127,500 მანეთის მეტი სესხი გაიცა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, დარჩენილი მამულები დიდად საზარალო ყოფილა ბანკისთვის. ბანკს უფრო მეტი ეხარჯება, ვიდრე ამ სახლებიდან იღებს. მთელი შემოსავალი ბანკისა 1908 წელს ყოფილა 711,886 მან. 87 კაპ. აქედან დაუფარავთ დარჩენილ სახლების ზარალი 365,553 მ. 40 კაპ. ბანკის მოხელე-მოსამსახურებს—122,081 მან. 09 კაპ. და სხვა, სულ 512,072 მან. 89 კაპ. ამ რიგად, 1908 წლის წმინდა მოგება უდრის 199,813 მან. 98 კაპ. 1907 წლის მოგებაზე 67.857 მანეთით მეტი. მოხსენებაში გამგეობა ყურადღებას აქცევს, სხვათა შორის, ბანკის გირავნობის ფურცლების კურსის დაცემას. მიზეზად ასახელებს უკანასკნელ წლების ამბებს.

✦ **ტერორისტი.** 21 მაისს დიდუბეში დააპატიმრეს პოლიციის აზრით, ცნობილი ტერორისტი სილოვან ეგნატეს ძე მამასახლისოვი, რომელიც გორის მოქალაქეს დავით მაისურაძეს სახელით სცხოვრებდა ტფილისში. მამასახლისოვს ჰბრალდება სხვა და სხვა დანაშაულობა. იგი ტლაშაძის გვარით გადაუსახლებიათ ამას წინად ჩელიაბინსკში, მაგრამ იქიდან დაბრუნებულა.

✦ **უპასპორტოების დაპატიმრება.** პოლიციის 1-ლ ნაწილში გაჩხრეკის დროს 15 კაცი დააპატიმრეს, მე-4 საპოლიციო ნაწილში—4 და მე-6 ნაწილში -16 კაცი.

✦ **წარმოდგენა.** დღეს, 23 მაისს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს აკაკის ისტორიულს დრამას „პატარა კახს“. პატარა კახის როლს შეასრულებს ქ-ნი დავითაშვილისა. წარმოდგენა დანიშნულია საფაროვისა და მატარაძის საბენეფისოდ.

✦ **საეგზარხოსოს გაუქმების საკითხი.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სინოდმა მოიწონა კომისიის მოხსენება, რომ საქართველოში საეგზარხოსო გაუქმდეს. დაადგინეს, კავკასიის ნამესტნიკს შეეკითხნენ“.

✦ **ბაქო-შემახის რკინის გზა.** „კასპის“ სიტყვით, ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ სასურველად იცნო, რომ გაყვანილ იქნას ბაქო-შემახის რკინის გზა. ამ პროექტს განსახილველად გადასცემენ მინისტრთა საბჭოს.

✦ **ყაჩაღების შეპყრობა.** 21 მაისს პოლიციას ამბავი მიუღია, რომ ცნობილი ყაჩაღი და ტერორისტი იაგორ თეიმურაზოვი ნაშუადღევს 5 ნახ. საათზე ტფილისში ჩამოვიდა, რაღაც ცუდი განზრახვით. თეიმურაზოვი ღამის 10 საათზე ნახეს ავჭალის ტრამვაის ვაგონში. პოლიციამ ალყა შემოარტყა ვაგონს და განიზრახეს თეიმურაზოვის დაპატიმრება, მაგრამ იგი ხელიდან გაუსხლტათ და გაიქცა. პოლიციელები დაედევნენ. თეიმურაზოვმა ექვსჯერ ესროლა რევოლვერი პოლიციელებს, მაგრამ ააცდინა. პოლიციელებმაც რამდენჯერმე დაჰსცალეს თოფები, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს დაეწივნენ და შეიპყრეს. გაჩხრეკის დროს თეიმურაზოვს აღმოაჩნდა 38 პატრონით სავსე პატრონტაში, ფულად 98 მანეთი, ხოლო რევოლვერი გაქცევის დროს სადღაც გადაეგდო. პოლიციის ცნობებით, თეიმურაზოვი გამოტეხილა 1906—1907 წლების განმავლობაში ჩადენილ მკვლელობებსა, ძარცვაგლეჯასა და სხვა ბოროტ-მოქმედებაში. თეიმურაზოვს გამომძიებელი კარგა ხანია დაეძებდა.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: ქართული „მუსულმან ქართველთა საქართველო“, ზ. ჭიჭინაძისა, ფ. ორი შაური რუსული „Въ чемъ спасеніе“, ი. როსტომაშვილისა, ფ. 40 კაპ.

✦ ახალ კლუბის დამფუძნებელ წევრთა საზოგადო კრება სხვა და სხვა მიზეზისა გამო გადიდო 31 მაისისათვის.

✦ ჩვენს გაზეთში 3 მაისს ამბად გვქონდა მოხსენებული (პოლიციის ცნობებიდან) ვითომ ფ. სიდამონიძე შევარდნოდეს პოლიციის მე 10 ნაწილში მოვაჭრეს დოდაშვილს და მუქარით მოეთხოვნოს ფული. ეს ამბავი სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. როგორც გამოძიებით გამოირკვა, სიდამონიძე მისულა დოდაშვილის დუქანში და მართლაც მოეთხოვნია ექვსი თუმანი ვალი. მედუქნეს მოვალე რომ თავიდან მოეშორებინა, პოლიციაში განუცხადებია, სიდამონიძე შემომივარდა მუქარით ფულის წასართმევადაო. საქმე გამომძიებლისათვის გადაუციათ, მაგრამ იმავე დღეს გამოირკვეულა სიმართლე, სიდამონიძე გაუნთავისუფლებიათ და საქმე მოსასპობად ოლქის სასამართლოს ბრალმდებელისათვის წარუდგენიათ. ფ. სიდამონიძე საჩივრის აღძვრას აპირებს ცილის დაწამებისათვის.

✦ 20 მაისს ღამე ალიხანოვის წისქვილში პოლიციამ დააპატიმრა გუმბრის მოქალაქე ალექსანდრე ერჩინოვი, რომელიც სავენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ გამოპარულა და აქ ტფილისში იმალებოდა. ერჩინოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ მიხეილის პროსპექტზე ვეტცელის სასტუმროში მცხოვრებს ფრანგის ქალს ჟოზეფინა ლანდარდს პოლიციაში განუცხადებია: ორ უცნობ ყმაწვილ კაცთან ერთად სავახშმოდ წაველი „პროგრესის“ ბაღში. ვახშმის შემდეგ იმავე ყმაწვილმა კაცებმა მიმაცილეს სასტუმროში. დილას როცა გამომეღვიძა, შევამჩნიე, რომ ჩემთვის მოეპარათ 2000 მანეთის ოქროს საყურეები, ფული და ნივთებიო. ეჭვი ამ ქურდობაში ლანდარდს მიუტანია ერთ ყმაწვილ კაცზე. პოლიციას გამოურკვევია, რომ ლანდარდთან უვახშმნია ბაქოს ვაჭრის შვილს იოსებ თუმაევს და დისნევაკის მოქალაქეს ალ. სვიატოგორს. ეს უკანასკნელი დააპატიმრეს და კიდეც გამოტყდა ქურდობაში. ერთი საყურე სვიატოგორს უკვე გადაუკეთებია ბეჭდად. ნივთები პატრონს დაუბრუნეს, ხოლო ქურდი „კავალერი“ პასუხის გებაში მისცეს.

# პატარა ფელეტონი

## ველური ეგოიზმი

ამას წინად ერთ ჩემ ნაცნობ მანდილოსანთან საუბარი მქონდა სქესის საკითხის შესახებ. ეს ფრიად კოპწია გვამი სულდგმულ არსებათა იმ რიგს ეკუთვნის, რომელიც სრულებით თავს არ იწუხებს ცხოვრების სხვა-და-სხვა საჭირ-ბოროტო საკითხის გამოსაკვლევად და ეს მსოფლიო ისეთ წალკოტად მიაჩნია, სადაც თვითეული ადამიანი მოწოდებულია სიამის ფიალათა სახიებლად და საწუწნელად. მოხდენილი, თუმც არა ახალგაზდა, ქალი მთელის თავის გარეგნობით გამოჰხატავს თავის სულიერ მისწრაფებას. ამ მხრივ იგი თავიდან ფეხამდის ეკონომიური მატერიალისტია. იმისი სული სხეულის ნამდვილი ზედ-ნაშენია. მანდილოსნის ტანის ყველა საწარმოო იარაღი განუწყვეტელ მოძრაობაშია და თავის შუქს იმის თვალებსა და სახეს გაუწყვეტლად ჰფენს. კოპწია ქალის სულიერი პიროვნება, მოკლედ რომ ვსთქვათ, სავსებით შთანქა იმის სხეულის მატერიალისტურმა ვნებათა ღელვამ.

მანდილოსნის სხეულზე ზედ-ნაშენი სული აღტაცებულია დღევანდელ ეგრედ წოდებულ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მწერლობით, რომელიც სხეულს აღმერთებს და ამ უკანასკნელს სულს უმორჩილებს. იმისმა უაზრო ტიკტიკმა და ცბიერმა მიხვრა-მოხვრამ ცოტად თუ ბევრად განმიმარტა მწერლობის ამ დარგის იდუმალი ჩარხები და იმისი შემომქმედი მიზეზი.

ძველად ველურთა შორის გამეფებული იყო ერთგვარი რწმენა, ანთროპოცენტრიზმად სახელწოდებული. ადამიანს თავისი თავი ამ მსოფლიოს მეუფედ მიაჩნდა, ისეთ არსებად, რომელსაც შუა-გული, უმაღლესი ადგილი უჭირავს და მთელი დანარჩენი სულდგმული და უსულო ბუნება იმის უზენაეს პიროვნების მოსამსახურეა. მწერლობაში დღეს გამეფებული უწმაწური მიმართულებაც სწორედ იმ ველურ ხანის დაბრუნებაა, განახლებული ანტროპოცენტრიზმია.

კოპწია ქალი იმიტომ ათამაშებს ასეთ განსაკუთრებულ სიყვარულით თავისი სხეულის თვითეულ ასოს, რომ ეს წუთი-სოფელი თავის სამოთხე და სანავარდო ადგილად მიაჩნია. დღევანდელ მწერლობაშიაც სხეულის ყველა ასოთა თამაშის გაღმერთებაც სწორედ ამ წყაროდან წარმოსდგება. ველურ მწერალს ადამიანის სხეული მსოფლიოს უზენაეს მოვლენად და მეუფედ მიაჩნია, რომელსაც ყველა პირმა თაყვანი უნდა სცეს და მორჩილად ემსახუროს.

კოპწია ქალის ჟუჟუნა თვალები სრულებით ვერ სჭვრეტს ადამიანის და საზოგადოების ცხოვრების იდუმალ და ღრმა-საინტერესო ჩარხებს. იმას ამისათვის სრულებით არა სცალია, რადგან თავის სხეულის თვითეულ ასოს რამე სწყურია და მხოლოდ იმიტომ აცეცებს მკვირცხლად აქეთ-იქით თვალებს, რათა ამ თავის სხეულს სანატრელი სიტკბოება შესძინოს.

ველურ დეკადენტურ მწერალსაც სრულებით არა სცალია ცხოვრების ღრმა-საინტერესო ამოცანის ასახსნელად, იგი ცქვიტისა და წუწკის თვალით შესცქერის ამ მსოფლიოს, რომელიც მხოლოდ ისეთ ფიქად მიაჩნია, რომელსაც მან რაც შეიძლება მალე ნაირ-ნაირი სიტკბოება უნდა ამოსწუწნოს.

კოპწია ქალი ხელოვნურ გულ-უბრყვილობით ტიკტიკობს იმის შესახებ რომ სქესის, ქალ-ვაჟთა დამოკიდებულების საკითხი სამუდამოდ გადუწყვეტელი საკითხია. ვიწრო კორსეტით წერწეტად ტან-შემოჭირებული, სხეულის სქესებრივ ნაწილების ვაჟკაცთა მოსახიბლავად მკაფიოდ გამომჩენი, თავით ფეხამდის ნელსაცხებლით მოპკურებული, იგი რასაკვირველია, სრულებით ვერა ჰგრძნობს იმას, რომ ქვენა გრძნობათა მუდამ ხელოვნურად აღმძვრელი, მის მგზავსთა შორის, ისიც სწორედ ხორც-შესხმული მიზეზია, რომლის გამო სქესის საკითხი გადუწყვეტელი რჩება ცხოვრებაში.

დღევანდელი სქესებრივი მწერლობაც მშვენიერების კორსეტით ვიწროდ ტან-შემოჭირებული, ყოველ სტრიქონში სხეულის სქესებრივ ნაწილების საამოდ გამომჩენი, ქვენა გრძნობათა მიმზიდველი ნელსაცხებლით თავით ბოლომდის მოპკურებული და ამ გრძნობათა მუდამ ჟამს საამოდ აღმძვრელი, რასაკვირველია, არა თუ არ იკვლევს და არ სწყვეტავს სქესის საკითხს, [illegible] სული უფრო და უფრო აღვიძებს და ამ [illegible] საკითხს გადუწყვეტელად ჰქმნის.

ბოლოს და ბოლოს ჩემ ნაცნობ კოპწია ქალის და მწერლობის დღევანდელ უწმაწურ მიმართულების დედა-ძარღვი სხეულის უსაზღვრო სიწუწკე, ამ წუთი-სოფლის სიტკბოებათა ქურუმების უკიდურესი ეგოიზმია.

**ი. ნაკაშიძე.**

# მოწერილი ამბები

**ოზურგეთი.** ოზურგეთმაც მოიგონა ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი, იმ ოზურგეთმა, რომელშიაც საწყალ ეგნატეს მრავალი ტანჯვა და ბედშაობა გამოუცდია. 17 მაისს ადგილობრივ საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილი იქნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ამ დღისასთვის ტფილისიდან მოველოდით განსაკუთრებულ ლექტორს, რომელსაც უნდა წაეკითხა ლექცია ნინოშვილის შესახებ, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო ეს ვერ გაგვიმართლდა და ლექტორი აღარ მოსულა. საღამოს დასდგეს პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან დრამა „ქრისტინე“. მთელი შემოსავალი გადადებული იყო ნინოშვილის ძეგლის ამგებ ფონდისთვის. თეატრში ჰყიდდნენ აგრეთვე ნინოშვილის მოთხრობებს: „გოგია უიშვილს“ და „პალიასტომის ტბას“ და ღია წერილებს ნინოშვილის სურათით. წარმოდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, აურაცხელი ხალხი მოაწყდა. სათეატრო დარბაზში ეკიდა ნინოშვილის ორი სურათი ცოცხალ ყვავილებით მორთული. ანტრაქტებში სამხედრო მუსიკა უკრავდა. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჩვენი სცენის მოყვარენი კარგად წარმოდგენას ჩაატარებდნენ, მით უმეტეს, რომ ეს დრამა გურულ კილოზე არის დაწერილი. იმედი გამართლდა—წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა მეორე და მესამე მოქმედების დროს თეატრში ხმა-მაღალი ქვითინი ისმოდა, ხოლო მეოთხე მოქმედების ბოლომ მთელი თეატრი აატირა. კარგად ასრულებდა დათიას როლს ს. ხურციძე ქრისტინეს როლს—ქ-ნი ე. წუწუნავა, მარიკას და ნატალიას როლებს—ქ-ნი პ. ლორია, მარინეს როლს—ქ-ნი თ. ნაკაშიძე, სონას როლს—ქ-ნი მ. ჯაყელი, იოსების როლს—ბ. გ. ოდიშელი, გერმანეს როლს—ე. ქარცივაძე, ლევანის როლს—დ. თალაკვაძე და გოგიასას—აშიძე. აღტაცება გამოიწვიეს საზოგადოებაში მეტადრე ს. ხურციძემ, ევ. წუწუნავამ და პელ. ლორიამ. მთელი შემოსავალი უდრის 130 მანეთს.

**გრიშა გურული.**

—

**ქიზიყი.** ძლივს ველირსეთ კარგს მოსავალს, მაგრამ ჩვენი ხალხი ჭირშიაც უბედურია და ლხინშიაც. მოსავალი არ ვარგოდა, ხალხი ტიროდა და ჩიოდა—შიმშილს

# რუსთა შორის

მენშიკოვის გარევოლიუციონერება.—„კანონმდებელნი“ და ჯარიმა.—სირცხვილი გაჰქრა.—ებრაელები და ხამიძი გიმნაზიელი.

წარმოიდგინეთ, მენშიკოვი გარევოლიუციონერებულა! არ დაიჯერებთ, ვინ მენშიკოვი და ვინ რევოლიუციონერიო. თქვენი ნებაა, მე-კი მართალს მოგახსენებთ. და ან კი რა არის აქ გასაკვირველი: ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ უკიდურესი მემარჯვენე ერთ მშვენიერ დღეს უკიდურესს მემარცხენედ გახდეს? ხომ მოხდა, რომ უკიდურესი მემარცხენე ლევ ტიხომიროვი უკიდურესი მემარჯვენე გახდა და ეხლა „მოსკ. ვედომ“-ში მოიკეცა და მარტო სახაზინო განცხადებებიდან წელიწადში 120,000 მანეთს იღებს? და თუ ტიხომიროვს უფლება აქვს უკიდურეს მემარცხენეთა ბანაკიდან უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკში გადავიდეს, ვითომ მენშიკოვი რითი ჩამოუვარდება მას? თითონ მენშიკოვიც წინად ხომ მემარცხენე იყო. თუ ამის შემდეგ მაინც ურწმუნო თომად დარჩებით, თვითონ მენშიკოვსაც ვალაპარაკებ. აი რასა სწერს იგი: „რუსეთს იხსნიან არა იოანე კრონშტანტელი—იოანე კრონშტანტელი იყო და ვერ იხსნა რუსეთი, არც დიდი მსწავლულები როგორიც მენდელეევი იყო, რადგან ესეც ისე ჩავიდა საფლავში, რომ ვერ იხსნა რუსეთი; ვერც გამოჩენილი მხატვარი და რომანისტი, როგორიც არის ლევ ტოლსტოი, რომელმაც საქმე უფრო არივ-დარია. წინასწარმეტყველები? საუბედუროდ, როგორც დაბადებიდან ვიცით, ესენი გვიან ჩნდებოდნენ და მოდიოდნენ იმიტომ კი არა, ხალხისთვის უბედურება აეცდინათ, არამედ იმიტომ, რომ უბედურება ეწინასწარმეტყველნათ. თუ ვინმეს შეუძლიან რუსეთის ხსნა, ეს ნაპოლეონის ტიპის კაცი უნდა იყოს.“

მენშიკოვი არ წინასწარმეტყველებს, გაჩნდება რუსეთში ნაპოლეონი თუ არა, მაგრამ მისის აზრით, „საჭიროა ისეთი პირობები, რომლებიც შეძლებას მისცემენ ნაპოლეონს, შესაფერი ადგილი დაიჭიროს“. ხომ მიჰხვდით, „საჭიროა ისეთი პირობები, რომლებიც შეძლებას მისცემენ“. რა თქმა უნდა, მე ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ, საფრანგეთის ისტორია არ იცოდეთ, ეს მეორე კლასის გიმნაზიელმაც კი იცის და აბა ეხლა გაიხსენეთ, რა „პირობები იყო საჭირო, რომ ნაპოლეონს შესაფერი ადგილი დაეჭირა.“ ერთის სიტყვით, „აწ არსებულ წესწყობილების ძირიანად შეცვლას“ თხოულობს მენშიკოვი და სხვა არაფერს! აი რასა ნიშნავს „კეთილსაიმედობა“, თორემ მე და შენ რომ გვეთქვა, მკითხველო, ყველაფერი ეს, შორეულ ადგილებში გაგვგზავნიდნენ. მენშიკოვი კი თავისთვის დასეირნობს! ამის შემდეგ კიდევ ბრძანეთ, რომ რუსეთში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არ არისო!..

*
* *

უნდა მოგახსენოთ, რომ „პრივილეგია“ ბევრს რასმეს ნიშნავს. აილეთ თუნდაც „ჩვენი“ კანონმდებლები რუსეთის „პარლამენტში“. პოლოვნევს რომ ის სიტყვები, რომლებიც „პარლამენტში“ წარმოსთქვა, სადმე ტრაქტირში ეთქვა, ჯერ კარგად გვერდებს დაუზელდნენ და მერე მომრიგებელი მოსამართლე „ვირის აბანოში“ ჩასვამდა, მაგრამ რადგან პოლოვნევი მეეტლე და „ვიგინდარა“ არ არის, არამედ „ხალხის ნდობით აღჭურვილი“ კაცია, უფლება აქვს რამდენიც ენებოს, იმდენი იგინოს. ასეც იქცევა და ხმის გამცემი არავინ არის. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ რაც დრო გადის, „ხალხის ნდობით აღჭურვილნი“ ძალიანშორს მიდიან არა მარტო ლაპარაკში სხვაშიაც (პურიშკევიჩს პირველ მაისს თავისი შარვალი ვარდით დაემშვენებინა). დიაღ, სანამ დაუსჯელები რჩებიან „კანონმდებლები“, იმ დრომდის ჩვენს ყურს ყოველთვის „დაატკბობს“ პოლოვნევი და კომპანია

თუ „ვირის აბანო“ არა, ჯარიმა მაინც შემოიღონ, აი თუნდაც შჩედრინის ცნობილი „ტაქსა“: „გინებისთვის—50 კაპეიკი; ეს ჯარიმა ორკეცდება, თუ გინებაში დედ-მამა იქმნა მოხსენებული, სამჯერ მატულობს, თუ „მოქმედებაც“ ჩაერია გინებაში“ და სხვა. სანამ ამას არ შემოიღებენ, ძალიან სახიფათოა სათათბიროში ისეთ საკითხების აღძვრა, როგორიც არის პროსტიტუცია, ქალთა სიპატიოსნის შელახვა, მცირე წლოვანთა გახრწნა და სხვ. ყველა ამგვარ საკითხზე, პოლოვნევი და ძმანი მისნი ისეთ ამბებს ასტეხავენ, გეგონებათ ძველი სალდათი ანეგდოტებს ამბობსო, იმ ანეგდოტებს, რომლის გაგონებაზედაც დრაგუნის ცხენს ისტერიკა ემართება.

აილეთ თუნდა დეპუტატი კელეპოვსკი. როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო სათათბიროში ამ რამდენიმე ხნის წინად „პროსტიტუციაზე“ იქონიაა მსჯელობა. სხვათა შორის დეპუტატმა კელეპოვსკიმ ილაპარაკა და იმის გარჩევას შეუდგა, თუ რომელ ფრაქციიდან უფრო მეტი ხალხი დაიარება საროსკიპო სახლებში. იმის გამოკვლევით მემარცხენენი ყოფილან ამაში დახელოვნებულნი, და პატივცემულ „ხალხის ნდობით აღჭურვილი“ „კანონმდებელი“ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მემარცხენენი არიან მიზეზნი, რომ პროსტიტუცია ასეა გავრცელებული რუსეთში. არა, რაც გინდა ბრძანეთ, მაგრამ ჯარიმა კი საჭიროა!

*
* *

„პრივილეგიაა“ მარა ჯანაბა, რომ რუსეთის განთქმულ საინტენდანტოს მოხელეთა უმრავლესობა თავისუფლად დასეირნობს, მაშინ, როდესაც, თუ სამართალია, ეს ვაჟბატონები სატუსაღოს ადმინისტრაციას უნდა გადაეცნენ მოსავლელად. განა მართალი არ იყო საინტენდანტოების უფროსი გენერალი პოლაკი, როდესაც სათათბიროში განაცხადა, საინტენდანტოს მოხელეთა 99% შეუსვენებლივ მუშაობს... სამშობლოს კეთილ-დღეობისთვისაო. დიახამც მუშაობს, მხოლოდ ვისთვის და რისთვის, ამაში ბევრი არ ეთანხმება გენ. პოლაკს. ზოგნი, მაგალითად, დაბეჯითებით ამბობენ, რომ ეს მოხელენი სამშობლოსა სცარცვავენ და მერე ისე, რომ სხვებსა რცხვენიანთ მათ მაგივრად. თვითონ კი დიდი ხანია სირცხვილს გადაეჩვივნენ ან კი რა საჭიროა ერთი მითხარით, ჩვენ დროში სირცხვილი? ვისღა რცხვენიან ეხლა? ხომ მოგახსენეთ ზემოდ დეპუტატების ამბავი. სირცხვილი გაჰქრა. ამავე აზრისანი არიან პსკოვის საინდენტოს მოხელენი, რომელთა ხელშიაც სადღაც ფქვილი გაჰქრა. კაცმა რომ სთქვას, ბევრი მაინცა და მაინც არაფერი მომხდარა: ფქვილი ხომ საჭმელად არის და მათაც შესჭამეს. რაც შეეხება იმას, ფქვილად შესჭამეს, თუ ფულად აქციეს, ამის გამოკვლევა სულ მეტია.

აილეთ ეხლა ჩექმები. რა სასირცხოა, სალდათებისთვის ისეთი ჩექმები იყიდოთ, რომელიც ან მეორე დღესვე მტვრად იქცევა ან მისი ტარება სალდათს მთელ ჯოჯოხეთს გამოაცდევინებს! ამის შემდეგ არც ის უნდა გაგიკვირდეთ, რომ სალდათებმა ეს ჩექმები შემკერავს მიჰყიდონ, შემკერავმა სხვა შტემპელი დაასვას და საინდენტოზე გაასაღოს და ასე დაუსრულებლივ წრეს არაკივით: წერო ჭაობში იჯდა, ცხვირს აიღებდა—ბოლო ჩაეფლებოდა, ბოლოს აიღებდა—ცხვირი ჩაეფლობოდა... ერთი ესღაა, რომ რუსეთის მცხოვრებლებმა ქუდი მოიხარონ და ქება და ხოტბა შეასხან საინტენდანტოს მოხელეთა 99%-ს, რომელიც „სამშობლოსთვის იღწვის!“ მეტი გზა არ არის!

*
* *

თუ „პრივილეგია“ არ გაქვთ, მაშინ კი გირჩევთ... აი, თუნდა ებრაელი აიღეთ. იმის ნებაც-კი არა აქვთ. რომ ზაფხულობით სუფთა ჰაერი ჩაყლაპონ და ბუნების სიმშვენიერით დასტკბნენ. კიევის მახლობლად სააგარაკო ადგილებია. კიეველ ებრაელებს განუზრახავთ ზაფხულში აქ დაისვენონ, მაგრამ ადგილობრივ ბოქაულს სულ სხვა თვალით შეუხედნია — ამ განზრახვისთვის. არ ვიცი უმაღლესის შთაგონებით თუ თავისის ინიციატივით, ბოქაულმა ებრაელები საგარაკო ადგილებიდან დაითხოვა. რა ახელმძღვანელებდა ბოქაულს, როდესაც ებრაელებს ამ უბრალო სიამოვნებას უკრძალავდა, არ ვიცი სწორედ, ალბად „სახელმწიფოს კეთილდღეობამ“ აიძულა ბოქაული. მოგეხსენებათ, რომ ებრაელები დაუნდობელი ხალხია. ვინ იცის, რა აზრით მიდიან საგარაკოდ, იქნებ იმიტომ მიდიან, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის „აწ არსებულ წესწყობილებას ძირი გამოუთხარონ“, „კრამოლა“ გაავრცელონ და აბა ამისთანა შემთხვევაში ბოქაული უმოქმედოდ როგორ დარჩება, სამშობლოს ხიფათში როგორ ჩააგდებს!

ან განა შეიძლება, რომ პატარა ებრაელი გიმნაზიელი მოსკოვში წავიდეს და გოგოლის ძეგლის გახსნას უყუროს! ვინ იცის, ეს გიმნაზიელი მოსკოვში რა აზრით მიდის? აკი ამიტომაც იყო, რომ შეძრწუნდნენ როდესაც გაიგეს, რომ კიევიდან მოსკოვში მართმადიდებელ გიმნაზიელებთან ერთად, ვიღაც ებრაელი გიმნაზიელიც მოდისო. იმწამსვე სასტიკი ზომები მიიღეს, კანონი დაიცვეს და ერთ სადგურზე გადმოსვეს პატარა გიმნაზიელი. ამის შემდეგ კი დამშვიდნენ და პატარა გული მოიბრუნეს. დიახამც დამშვიდდებოდნენ: სახელმწიფოს ასეთი დიდი ხიფათი მოელოდა და თავიდან აიცდინეს!..

**მ. ს—ლი.**

ანიცდიდა. გვეღირსა მოსავალი და მაანც დაღვრემილია ჩვენი გლეხი. აი ამ ღეებში ქიზიყელები გავლენ მინდორში ათიბავად, მერე ამას მოჰყვება ქერის და ურის მკა: მუშა ხელი ცოტაა, საჭიროა ხვა ადგილიდან მუშის მოწვევა და ამას ი ფული უნდა. ხოლო ფული ჩვენს ხალხს რ გააჩნია. თუ იშოვა რამდენიმე მანეთი არჩებისაგან, მოსავალი მათ ხელში გადაა და გლეხი კი ისევ მშიერი დარჩება. როდის ეღირსება ჩვენ ხალხს ხელმისაწომი კრედიტი, როდის დაარსებენ სასოლო საკრედიტო საზოგადოებებს?

ვიდრე კოოპერატიული ამხანაგობანი არ ავრცელდება ჩვენს სოფელში, ჩვენს გაირვებულ და დაბეჩავებულ ხალხს არ უშველის არც კარგი მოსავალი და არც იდევ სხვა რამე. **ტ.**

**თელავი.** ამ ერთი თვის წინად ერთ რეში ლაპარაკი ყოფილიყო უფასო ან აპეიკიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. საკვირველია ღმერთმაი აქაურების საქმე. ერთი სამკითხველო ქონდათ, დაიწვა და თუ კ. ტყავაძის მეადინეობით არა, ეხლაც არ იქნებოდა მისი ხსენება. მართალია, როგორც იყო, გააახლეს, მაგრამ უსახსრობისა გამო ამაც ძლივს უდგას სული, და ახლა მეორე ომებიათ და იქნება მესამეც მოაყოლონ. თუ ვისმე უნდა სამკითხველოს გაუმჯობესება ან უფასოდ გადაკეთება, მერონი მისი გამგეობა და წევრებიც სიამოვნებით დასთანხმდებიან, ოღონდ-კი არსებობის სახარი აღმოუჩინონ.

სიტყვამ მოიტანა და მივაქცევ, ვისიც ერ არს, ყურადღებას სამკითხველოს გაებ-დაკეტის დროზე. იკეტება როცა საიროა და იღება, როცა არაა საჭირო. ილით 4 საათის მაგიერ საკმარისია 2 ნ 3 საათი, მხოლოდ საღამოთი სულ რომ ოტა 9 საათამდე მაინც უნდა იყოს ღია, ერე ეხლა—ზაფხულში, როცა გაზეთები ოდის და სამკითხველო-კი სწორედ იმ როს იკეტება, როცა საჭიროა და ხალხიც თავისუფალია.

ამას გარდა სამკითხველოს არ მოსდის ოგიერთი ქართ. ჟ.-გაზეთი. საჭიროა საოგადოება დაეხმაროს საშუალებით მოპოვებაში.

საკვირაო სკოლა ისევ არსებობს. ისევ, ამბობ იმისთვის, რომ აქ, როგორც დაწყება იციან, ისე—დავიწყება. სკოლაში ეცადინეობა ჯერ-ჯერობით კარგად მიის, მაგრამ ნივთიერ გაჭირვებას ძრიელ ანიცდის. სკოლაში სულ ღარიბ-ღატაკთა ვილები დაიარებიან და სასწავლო ნივთები მუქთად ეძლევათ. პირველიდანვე ნსიად იღებენ, მაგრამ რადგან გადახდა უნდა, ამასაც მოუსპობენ. ამას გარდა ვალიც წამოედო და შემოსავალი-კი არსაიდანაა. თუმცა ქალაქის გამგეობა 50 მანეთით დაეხმარა, მაგრამ ეს ჯერ ისევ ქაალდზეა დაწერილი. მისცემენ, მაგრამ ს ნისიებს არ ეყოფა. რამდენიმე თვეა, კოლამ კლუბსაცა სთხოვა დახმარება, მააგრამ აქამდე პასუხი არც-კი მიუციათ კლუბის მამებს.

სასულიერო სასწავლებელი, როგორც ეტყობა, ირკვევა ძილისგან. 10 მაისს ამ სასწავლებლის მოწაფენი ექსკურსიაზე წაიყვანეს შუა მთის მონასტერში, რომელიც თელავიდან 6 ვერსის სიშორეზე მდებარეობს, გომბორის მთის კალთაზე, და შესაიშნავია თავის საუცხოვო სანახაობით. დილით ადრე მხიარულად გაემგზავრნენ პატარა მოწაფენი და რამდენიმე საათს მონასტრის მიდამოებში სასიამოვნოდ გაისმოდა ჟივილ-ხივილი. წირვა-პარაკლისის გადახდის შემდეგ მოსწავლეთ გაუმართეს სადილი. მთელ დღეს მოსწავლეთ კარგად გაატარეს დრო და საღამოს ნასიამოვნები დაბრუნდნენ თელავში.

აქაურ სასწავლებლებში ყველგან მაისის ოლოს თავდება ეგზამენები, ხოლო წმ. ნინოს ქ. ლთა სასწავლებელში 10-ში თავდება, სამოქალაქო სასწავლებელში-კი ივნისის შუა რიცხვებამდე გასტანს.

აპრილის შუა რიცხვებში თელავსა და მის მიდამოებში ისე დაცხა, როგორც ქათათვეში. მაისის პირველიდან საგრძნობლად აცივდა, კავკასიონის მთები ხელავ ჩამოსთოვა, მხოლოდ ავდარი-კი კარგა ხანია არ ყოფილა, რის გამოც ვალვა დაიჭირა. **დავიწყებული.**

# ოსმალეთი

**სენსაციონური ხმა.**

სალონიკში სენსაციონური ხმა ავრცელდა, ვითომ აბდულ-ჰამიდი საიდუმლოდ წაიყვანეს სალონიკიდან, ხოლო მისი ამალა ალატინის ვილაზე დატოვეს, რომ ეჭვი არავინ აიღოსო. („ზ.“)

**უწესოება ბეირუთში.**

ქალ. ბეირუთში (სირიაშია) ააფეთქეს გუბერნატორის სასახლე. დაწვრილებითი ცნობა ჯერ არ მიუღიათ სტამბოლში.

**სამხედრო სასამართლო ადანაში.**

სამხედრო სასამართლომ ადანაში ჯვე გაასამართლა 21 კაცი, რომლებსაც მონაწილეობა მიეღოთ ადანაში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაში. 9 მუსულმანსა და 6 სომეხს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა და 6 მუსულმანს უვადო კატორგა. განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ უკვე შეასრულეს.

**რიფაათ-ფაშის დეპეშა ადანის ამბებზე.**

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს რიფაათ-ფაშას დეპეშით პროტესტი გამოუცხადებია იმ ცნობების წინააღმდეგ, ვითომ ოსმალეთის კონსტიტუციონური მთავრობაც მონაწილეობას იღებდა სომხების აკლებაშიო. ეს ცნობა ზოგიერთმა გაზეთმა და სომხის კომიტეტმა გაავრცელაო, სწერს რიფაათ-ფაშა, გარდა ამისა იგი ირწმუნება, რომ ამ საზარელ ამბების ბრალი თანასწორად ედებათ როგორც მუსულმანებს, ისე ქრისტიანებს და ყველა დამნაშავე, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, სასტიკად იქნება დასჯილიო.

**აბდულ-ჰამიდის კარის კაცებს ქონება ჩამოართვეს.**

სულთანმა ხელი მოაწერა ბძანებას, რომლის ძალით აბდულ-ჰამიდის პირველ მდივნად ნამყოფს და სხვა მის დაახლოვებულ პირებს ქონება და ჩინები ჩამოართვეს და ჯამაგირი მოუსპეს.

**ახალი სულთანი.**

ახალმა სულთანმა თავისი ორი უმცროსი ვაჟიშვილი გალატის ლიცეის პანსიონში მისცა. უფროსი პრინცები სულთნის ბძანებით უნივერსიტეტში შევიდნენ.

**ქიამილ-ფაშა.**

ინგლისის ბეჯით თხოვნით დამცველი რაზმი მოაშორეს ქიამილ-ფაშის სახლსა.

**ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის გაძლიერება.**

რეაქციაზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტი, რომელსაც ეხლა ეძახიან „წმიდა ამხანაგობას“, დღე და დღე მეტს თანაგრძნობას იძენს ხალხში. ყოველ დღე ახალ-ახალი წევრები შედიან ამ პარტიაში. ახალმა წევრმა ჯერ უნდა ფიცი მიიღოს, რომ ერთგული იქნება პარტიისა და მთელის თავის ძალით, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მის ინტერესებს; ამის შემდეგ მან უნდა შეიტანოს პარტიის კასაში ყოველ თვეს 80 კაპეიკიდან 1 მან. 60 კაპეიკამდე. ფულის შეტანის შემდეგ ახალ წევრს აძლევენ კარტას, რომელზედაც დანიშნულია მისი ნომერი, ასე რომ პარტიის ყველა წევრი ცნობილია თავის ნომრითა. პარტიაში ყველას როდი იღებენ. იღებენ მხოლოდ იმით, ვისაც პარტიის ძველი წევრები მოიწონებენ და რომლის მიღების წინააღმდეგ არც ერთი ძველი წევრი არას იტყვის. ახალ წევრების მიღებას გადასწყვეტს ხოლმე კომიტეტის კრება.

# სპარსეთის ამბები

**ოსმალეთის ქვეშევრდომები დაატუსაღეს ჯულფაში.**

ოსმალეთის კონსულმა თავრიზში ცნობა მიიღო ჯულფიდან, რომ რუსებმა სპარსეთის სამფლობელოში ორი ოსმალეთის ქვეშევრდომი დაატუსაღესო. კონსულმა ამის თაობაზე იმ წამსვე დეპეშა გაგზავნა სტამბოლში.

**რუსეთმა ერთი მილიონი ასესხა შაჰსა.**

როგორც დეპეშიდან ვიცით, რუსეთის მთავრობამ ერთი მილიონი მანეთი ასესხა შაჰსა. ამ ფულით შაჰი თავდაპირველად დააკმაყოფილებს თავის ჯარს, რომელსაც კარგა ხანია ჯამაგირს ვერ აძლევს. ეს ფული დახარჯული იქნება კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ; ამ კომიტეტში შედიან რუსეთ-სპარსეთის ბანკის მმართველი, სპარსეთის ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი მოხელე და ფრანგი ბიზო, სპარსეთის ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი.

ამ ფულს რუსეთი აძლევს მარტოკა ინგლისის დაუხმარებლად, რადგან ინგლისის მთავრობა მტკიცედ ადგია თავის წინანდელ აზრს, რომ სპარსეთს ფულს ასესხებს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მეჯლისი დაამტკიცებს ამ სესხსო. მაინცა და მაინც ინგლისი წინააღმდეგი არ იყო, რომ რუსეთს ეს მილიონი ესესხებინა შაჰისთვის, რადგან რუსეთის წარმომადგენელ საბლინს ნაბძანები აქვს ინგლისის ელჩს მოელაპარაკოს, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ეს ნასესხები ფული.

„ტაიმს“-ი სწერს: თუ სპარსეთში კონსტიტუციონური წეს-წყობილება დამკვიდრდება, მაშინ ინგლისიც უეჭველად მიიღებს მონაწილეობას პარსეთის სესხში, ურომლისოდ სპარსეთის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლებელიაო.

**რუსის ჯარი თავრიზში.**

გაზ. „კავკაზ“-ში დაბეჭდილია თავრიზიდან მიღებული კორესპონდენცია, რომლიდანაც ცხადად ჩანს, თუ რა გუნებაზეა თავრიზში რუსის რაზმი. კორესპონდენტი სწერს: „მაისის დამდეგიდან, როდესაც ჩვენმა საპიორებმა მოსპეს რამდენიმე ბარიკადა თავრიზში და შეიარაღებული ფიდაები ქუჩებიდან გაჰქრნენ, ჩვენ რაზმში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, სრული სიდინჯე სუფევს. ცოტა არ იყოს აჩოჩქოლდით, როცა სათარ-ხანის სახლში იფეთქა თოფის წამლის უზარმაზარმა საწყობმა, რომელიც 40 ათას თუმნად (75 ათასი მან.) ღირს, იმედი მოგვეცა, რომ ეგები ეხლა მაინც მოგვცემენ ნებას ერთი წყვილი კარგი ყუმბარა ვესროლოთ ზარბაზნით იმ ყაჩაღ სათარ-ხანის ბუდეს, რომელიც ტკბილად ცხოვრობს თავის აყვარებელ ნაცარქვით. ეს ყაჩაღი ჩვენიდან სულ ახლო ზის, $1^1/_2$ ვერსტი მეტი არ იქნება მის ბინამდე, დავინახეთ კიდეც, რომ ბატარეის უფროსმა, რომელიც თავის ზარბაზნებზე არა ნაკლები სრული აგებულებისაა, კიბე მიუდგა ზარბაზნის ლაფეტს, მაღლა ავიდა, დიდ-ხანს იცქირებოდა სათარ-ხანის მხარეს, ირწმუნებოდა კიდეც, რომ ორი ყუმბარით გავანადგურებ ყაჩაღის ბუნაგსაო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა და ჩვენი ზარბაზნები მშვიდობიანად გაიყურებიან თავრიზისკენ“.

# ბავშვების წამება

სატახტო ქალაქის გაზეთებში მოთხრობილია შემდეგი საყურადღებო ამბავი, რომელიც კარგად ახასიათებს დღევანდელ რუსეთის სიდუხჭირეს და იქ გაბატონებულ უვიცობას.

პეტერბურგში, ბავშვთა ერთ საავადმყოფოში, მიუყვანიათ 17 ბავშვი. ყველანი გამოსულელებულნი და ფიზიკურად უძლურნი გამოდგნენ. საავადმყოფოს გამგეს გაკვირვებულს ამ საზარელ სანახაობით უთხოვნია „ბავშვთა დამცველ საზოგადოებისთვის“, გამოეძია საიდან გაჩნდნენ ეს ბავშვები. „საზოგადოებას“ თავის წევრის კუდრიაცევის შემწეობით გაუგია შემდეგი.

როგორც ვიცით, რუსეთში კარგა ხანია გაჩნდნენ იოანე კრონშტატელის მიმდევარნი—იოანიტები. ერთს იოანიტელს უტკინს და იმის თანამოაზრეს პერუშინს მადლითა და კურთხევითა იოანნე კრონშტანტელისა, როგორც ეს თვითონ განაცხადეს, 8 წლის წინად მოუწყვიათ პეტერბურგში ბავშვთა თავშესაფარი. აქ იღებდნენ თურმე 3—14 წლის ბავშვებს. თვითონ „თავშესაფარი“ წარმოადგენს დაბალ პატარა ოთახებს, რომელთა სიგრძე 7 ნაბიჯია და სიგანე ოთხი. დღე და ღამ აქ ატარებდებდნენ თურმე ბავშვები. მათ გარეთ არ უშვებდნენ იმ მოსაზრებით, რომ არ „შეეთვისათ ეხლანდელი მავნე აზრები“. საჭმელი ეძლეოდათ სამარხო და ათასში ერთხელ თევზი. ბავშვებს მთელ დღეს ალოცებდნენ და აგალობებდნენ დაუჯდომელს, დავითნს და სახარებას. ერთად-ერთი გასართობი გვირგვინების წნა იყო, მაგრამ ისიც მალე აუკრძალავთ. ჰაერი ოთახებში, სადაც ბავშვები მთელ დღეს ატარებდნენ, სჭამდნენ და წვებოდნენ, საოცრად შეხუთული და მყრალი ყოფილა. თითო პატარა ოთახში 16 ბავშვი ყოფილა მოთავსებული. ბავშვები უსიცოცხლოდ, მკვდრებივით გამოიყურებიან და ყოველ კითხვაზე სასომიხდილობისა გამო პასუხის გაცემას ვერც-კი ახერხებენ. კაცს ისე უფრთხოდნენ, როგორც მხეცს, ალბად მუშტების ძალაც გამოეცადათ. გარდა ამისა ბავშვებს თვალები დაჩირქებული აქვთ, ტანი და ხელები იარებით სავსე უსუფთაობისა გამო. როცა კუდრიაცევი შეჰკითხებია „თავშესაფარის“ გამგეს, რატომ არ იძლევიან ბავშვები კითხვაზე პასუხსაო, მას უთქვამს: „შენ ხორციელი ხარ; ესენი ანგელოზები და ამიტომ არა ნდომობენ შენთან ლაპარაკსაო“. როცა კუდრიაცევს უთქვამს, ბავშვებს წამლობა უნდათ, რომ წყლულებმა არ იმსხვერპლოსო. გამგეს მიუგია: „ეს სულიერი განახლებაა ბავშვებისა, რომლის დროსაც ისინი ბიწიერ ხორცს ჰკარგავენო“.

აღმზრდელ—იოანიტს აღტაცებით აუხსნია კუდრიაცევისთვის თავისი მიზანი, თუ როგორ „იხსნის“ იგი ამ საშუალებით ახალგაზდობას ტოლსტოევისაგან და გახდის თვითმპყრობელობის ბურჯად. ასე „ღრმა და მადლიანია“ იოანიტების მოძღვრებაო, დაამთავრა თურმე იოანიტმა. ყველა ამის შემდეგ რა საკვირველია, რომ ამ თავშესაფარიდან სულელი და ავადმყოფი ბავშვები გამოდიან.

# სადაური ანგარიშია?

(პასუხად მღმრიგებელ მუამავალს თავ. გ. ნ. ვეზირიშვილს)

გაზეთ „დროების“ მე-99 ნომერში წავიკითხე თქვენი პასუხი და ბევრი უცნაური რამ ამოვიკითხე. ყველაზე არ გიპასუხებთ, საჭიროდ არა ვცნობ. მხოლოდ საინტერესოდ მიმაჩნია ოქონის საზოგადოების შესავალ-გასავლის აღრიცხვას შევეხო.

თქვენა ბრძანებთ: „ოქონის საზოგადოებაში 1068 კომლი გლეხი იხდის სამა მასახლისო ფულს და არა 1061 კომლიო“. ამას თქვენვე უმატებთ, 1068 კომლი იხდის 2600 მანეთსაო. სრულებით არ შეესაბამება ერთი-მეორეს. ერთი მიბრძანეთ: კომლმა რა უნდა გადაიხადოს? ნუ თუ 2 მ. $43^1/_3$ კაპ.?! ანგარიშით ეს არ გამოდის. დასარწმუნებლად ამისა, რომ თითო კომლი ოქონის საზოგადოებაში იხდის 2. 80 კ. და არა 2 მ. $43^1/_3$ კ. რედაქციაში ვარდგენ რამდენიმე სოფლებიდან გოგიშვილის კვიტანციებს. თქვენსავე ჩვენებით ოქონის საზოგადოებაში ხარჯის გამღები ითვლება 1068 კომლი, ანგარიშით კი ამათ უნდა გადაიხადონ ყოველ წლივ 2990 მ. 80 კაპ. და არა 2600 მანეთი, როგორც თქვენა ბრძანებთ.

წინა წერილში მე ვამბობდი, რომ ოქონის საზოგადოებას ეხარჯება: მამასახლისზე—360 მ., მწერალზე—360 მ., სამს სტრაჟნიკზე—900 მ., ორს ჩაფარზე—480 მ., კანცელარიის მცველზე—96 მ., კანცელარიის ქირაზე—60 მან., მამასახლისის ოჯახისათვის და სტრაჟნიკებისათვის სახლის ქირაზე—144 მ. და კანცელარიის საქმეებზე—180 მან.“. თქვენ კი ბრძანებთ: „მამასახლისი გოგიშვილი იღებს ჯამაგირად 240 მ.“ უკეთესი. საზოგადოებას უფრო მეტი არ უნდა დარჩეს? სადაური ანგარიშია?

თქვენ მიკიჟინებთ: „განა არ იცის Legatus-მა, როგორც ადგილობრივმა მკვიდრმა, რომ, რაც მე შუამავლად ვარ დანიშნული, რვა-ცხრა თვე იქნება და ამიტომ მხოლოდ ამა 1909 წლის ხარჯთ გაწერამ გაიარა ჩემს ხელში და რომ წინა წლის ხარჯთ-აღრიცხვა მოხდა წინანდელ შუამავლის თავ. ამირეჯიბის ხელში, რომელმაც საზოგადოების შენობის უვარგისობის გამო დაიქირავა კანცელარიისა და მოსამსახურე პირებისათვის შენობები თავ. გ. ი. ჯავახიშვილისა თვეში 17 მ. ერთი მიბრძანეთ, აქ რა შუაშია მამასახლისის ოჯახი და მის გამო ვაებაგოდება?“

საქმის გარემოება, ასეთი არ არის. ვიმეორებ თავ. ივანე იოსების ძე ფალავანდიშვილის სახლებში იდგა მამასახლისი გოგიშვილი თავის ოჯახობით და ამისივე ბოსელი დათმობილი აქვს სტრაჟნიკებს. ამის ქირას საზოგადოება იხდის თვეში 12 მ. კანცელარია კი მოთავსებულია თავ. გ. ი. ჯავახიშვილის სახლში და თვეში 5 მ. ეძლევა. დასარწმუნებლად ჰკითხეთ სახლის პატრონებს, ერთსაც და მეორესაც. განა სულერთი არ არის? საქმე იმაშია, საზოგადოება შენობებისთვის იხდის თუ არა 17 მანეთს?

მაშასადამე, თქვენივე სიტყვით, ოქონის საზოგადოება სასოფლო სამმართველოზე და იმის მოხელეებზე ჰხარჯავს 2460 მან. ამ ანგარიშით კი ოქონის საზოგადოებას უნდა დარჩეს 530 მ. 80 კ. 1908 წლის მეორე ნახევრისა და მდგომარე წლის პირველ ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვამ თქვენს ხელში გაიარა და ამის გამო უფლება მეძლევა ხელ-მეორედ გკითხოთ: სად არის ზედ მეტი ეს ერთი წლის ფული მაინცა?

დასასრულ, მამასახლის გოგიშვილის მიერ სოფ. თილვაში 60 მანეთის აღებას აქარწყლებთ. თქვენ რომ თილვაში მობძანდით გამოსაძიებლად, მღვდ. ათაევმა თქვენ არ გითხრათ, რომ ოთხი თუმანი ნაცვალთან არისო? თქვენც მაშინვე ნაცვალი მოიკითხეთ, რათა გაგეგოთ დანამდვილებით ამ ფულის ვინაობა. ნაცვალი თქვენთან არ გამოცხადდა, ამ ოთხი თუმნის ვინაობა ვერ გაიგეთ. მაგრამ მაინც კიდევ ამბობთ, ფული ეკლესიისთვის არის შენახულიო. მომყავს მოწმად მოძღვარი ზაქარია ხვადაგაძე. მან გამოჰკითხა მღვდ. ათაევს ამ ოთხი თუმნის ამბავი და არც ერთი გროში არ აღმოჩენილა ეკლესიისთვის შენახულიო, ამბობს იგი. თუ გლეხებს ეკლესიისთვის გადაახდევინა გოგიშვილმა, რატომ მაშინვე მღვდელს არ გადასცა, თუ არა და ნაცვალთან რა უნდა ამ ფულსა? ან რა უფლებით ახდევინებს მამასახლისი გოგიშვილი 60 მ. გლეხებს და ამ ფულიდან ნაცვალსაც უნაწილებს ორ თუმანს?

Legatus.

P. S. ყველას თავი დავანებოთ, ვიფიქროთ, რომ მე ვტყუი ყველაფერში, მაგრამ ციფირები რომ სხვას ამბობენ: საზოგადოება იხდის 2600 მ. და მოხელეებზე კი იხარჯება 2460 მ. რჩება 140 მ. ეს ფული ვისთან არის?

L.

# წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლა.*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „დროების“ მე-54 და აგრეთვე 84-85 ნომრებში ვრცელი წერილები დაიბეჭდა წინამძღვარიანთ კარის სკოლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პატივცემულმა ილია წინამძღვრიშვილმა ჯეროვანი პასუხი გასცა ავტორებს, იმედი გვაქვს „დროების“ რედაქცია ჩვენც მოგვცემს საშუალებას შეძლებისა დაგვარად ჩვენი აზრი გამოვთქვათ ხსენებულ სკოლის შესახებ.

პირველ სიტყვიდანვე ვაცხადებთ, რომ როგორც სხვა ამგვარი სკოლები, არც წინამძღვარიანთ-კარის სკოლა მიგვაჩნია ჩვენ იდეალურად მოწყობილ დაწესებულებად და იგი გარემოებათა მიხედვით უნდა დაფასდეს და არა ოცნებაში გამოხატულ სურვილების თანახმად. ჩვენც სწორედ ამ მხრივ გვინდა შევხოთ წინამძღვარიანთ-კარის სკოლის 25 წლის მოღვაწეობას და გამოვარკვიოთ: ღირსი იყო თუ არა ეს დაწესებულება იმგვარ უმადურ წიხლებისა, როგორითაც მას ზემო აღნიშნული ავტორები გაუმასპინძლდნენ.

მეურნეობის განვითარება - აუგავება რომ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო და სასარგებლოა, ამის შესახებ გგონებ ლაპარაკიც მეტია და სწორედ ეს ქონდა დასახული მიზნათ ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილს ... ში სკოლას ...

„რომ ... მდს ზედების ღარიბსა და გაუნათლებელ მცხოვრებთ, ადგილობრივმა მემამულე ი. ი. წინამძღვრიშვილმა სასარგებლოდ ხნოთ დაეარსებინა თავისს სოფელში თავისავე ხარჯით პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებელი პირველ დაწყებით განყოფილებითურთ“.

აი რას ვკითხულობთ 1901 წლის გამოცემულ სკოლის ანგარიშებში. აქედან აშკარად სჩანს, რომ სკოლის დამაარსებელს მიზნათ ჰქონია დასახული: როგორც სამეურნეო ცოდნის გავრცელებით, ისე პირველ-დაწყებით სკოლის საშუალებით ღარიბ და უვიც ხალხისათვის დახმარება აღმოეჩინა, მათი გონებრივ-ზნეობრივი და აგრეთვე ქონებრივი ყოფა უფრო მაღალ დონეზე დაეყენებინა. სიმპატიური სურვილია წინამძღვარიანთ-კარის სკოლა, მისი მზრუნველნი დაუღალავათ შრომობდნენ ამ მიზნის განსახორციელებლად.

ბ-ნი ტ.—(„დროება“ № 64) საქმეს სხვაგვარად უყურებს. მისი აზრით: «საანბანო ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ მეურნეობის განვითარებაშია» *).

ჩვენ, რასაკვირველია, მეტის-მეტ საეჭვოდ მიგვაჩნია ამ „საანბანო ჭეშმარიტების“ ჭეშმარიტება და არა მგონია „ჩვენი ქვეყნის ხსნას“ მხოლოდ და მხოლოდ მეურნეობის განვითარებაზედ იყოს დამყარებული. შეიძლება ამ აზრს „ჩვენი ქვეყნის ხსნის“ შესახებ „დროების“ რედაქციაც ეთანხმებოდეს, რომ მისს „საანბანო ჭეშმარიტებას“ შენიშვნა არ გაუკეთა, მაგრამ არა მგონია „მხსნელების“ დასახელებაშიაც დაედასტუროს ბ-ნ ტ.-ს, ვინაიდან ესენი **„ქართველი თავად-აზნაურობა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“** არიან. „როგორიც ახლხანი, ისეთი ჩალხანი“-ო, ამბობს ანდაზა და მართლა როგორიც ქვეყნის ხსნის საშუალება გამონახა ბ-ნმა—ტ—მ, ისეთი მხსნელებიც გამოუძებნია. სირცხვილი მხსნელებს, თუ ქვეყნის ხსნა მართლა მათზეა დამოკიდებული და დღევანდლამდე ასე გულხელ დაკრეფილნი სხედან.

აქ ერთი რამ არის ჭკუასთან ახლო. სახელდობრ ისა, რომ მეურნეობის განვითარება ჩვენში ყველაზე მეტად სასარგებლო და ხელსაყრელი თავად-აზნაურობისათვის არის, როგორც მსხვილ მემამულეთათვის და მათი პირდაპირი ინტერესი მოითხოვს სამეურნეო სკოლების გავრცელებას ხელი შეუწყონ. ამას მართლაც შვებიან ჩვენი თავად-აზნაურები და ამ მხრით წინამძღვარიანთ-კარის სკოლასაც თვალსაჩინო დახმარებას უწევენ.

ამგვარად, თავისი ცრუ „ანბანის“ მოხმებით საგურამოელმა კორესპონდენტმა დაასკვნა: წინამძღვარიანთ-კარის სკოლას ალბად ქვეყანა უნდა ეხსნაო და თუ ეს არ შეასრულა მაშ მას არაფერიც არ გაუკეთებიაო. ამას ჩვენ გვათქმევინებს ის გასაშტერებელი სიბრძავე ავტორისა, რომლის მეოხებით მან ვერაფერი ვერ დაინახა სკოლის 25 წლის მოღვაწეობაში და ერთი კალმის მოსმით გააქარწყლა ყველაფერი. თუ ბ-ნ ტ—ს გაეგება რამ სამეურნეო სკოლისა ან ცოდნის, უნდა მოეხსენებოდეს მას თუ რა ძნელია საზოგადოთ კულტურულ სამეურნეო მეცნიერების გადმონერგვა და ადგილობრივ პირობებთან შეთანხმება. რომ ეს გამოცდილება ბ-ნ ტ—სათვის ჩინური ანბანი არ ყოფილიყო, ის წინამძღვარიანთ-კარის სკოლის 25 წლის მოღვაწეობასაც ასე აბუჩად არ აიგდებდა, მაგრამ რა გვეთქმის: Бѣда, коль сапоги точить начнетъ пирожникъ.....

25 წლიწადი სამეურნეო სკოლის ცხოვრებაში ერთობ მცირე დროა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიაც წინამძღვარიანთ-კარის სკოლამ მოსალოდნელზე მეტი ნაყოფი გამოიღო. ვისაც წინად დასახული მიზანი არა აქვს ხარქი მოსცხოს სკოლის მოღვაწეობას, მისთვის საკმარისია იმ ანგარიშების თვალის გადავლება, რომელიც 1901 წელს გამოსცა სკოლის მზრუნველმა და რომელიც შეეხება სკოლის 18 წლის ცხო-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ ცოტა რამ: ავტორი იმ კილოთი ხწერს, თითქოს ბ-ნ ტ—ს, რომლის წერილმაც გამოიწვია ეს პასუხი, წინამძღვარიანთ-კარის სკოლა უვარგის და უმნიშვნელო რამედ დაესახოს, ან არად ჩაეგდოს ბ-ნ წინამძღვარიშვილის ღვაწლი. ასეთი არაფერია იმ წერილში. ბ-ნ ტ—ს აზრი ასეთია: წინამძღვარიანთ-კარის სკოლა დიდად და დიდად სასარგებლო დაწესებულებაა, მაგრამ მას იმაზე მეტის სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რაც ეხლა მოაქვს. საჭიროა დახმარება. ბ-ნმა წინამძღვრიშვილმა ბევრი გააკეთა, მაგრამ ერთი კაცი ყველაფერს ვერ გასწვდება. მას უნდა მიეშველნენ წერა-კითხვის საზოგადოება, თავად-აზნაურობა და სხვებიც. გაზვიადებულია ამიტომ ამ საპასუხო წერილის აზრიც, ვითომ ბ-ნ ტ—ს წერა-კითხვის საზოგადოება და თავად-აზნაურობა „მხსნელებად“ დაესახოს. რაც შეეხება რედაქციას, მან ტ—ს და სხვების წერილები ხსენებულ სკოლის შესახებ, დაბეჭდა არა რაიმე ცუდის განზრახვით. როგორც ამკარად ფიქრობს საპასუხო წერილის ავტორი, არამედ იმიტომ, რომ საგანი საინტერესოა და მისი ყოველ მხრივ გამორკვევა სასურველია. თვითონ რედაქცია, თუ გნებავთ, არც ერთ წერილის ავტორს ხაზებით არ ეთანხმება. რედაქცია.

*) ციტატები აქაც და სხვაგანაც ჩვენი სიტყვით მოგვყავს ავტორის აზრების დაცვით.

გრებას. (1883—1901 წ.). ბ. ტ—კი ერთობ მწყრალად არის ამ ცნობებთან და ამიტომაც სად-მსჯელობასთან სკოლის შესახებ, რასაც აი ახლავ დავინახავთ.

„25 წლის განმავლობაში სკოლაში სწავლა დაუმთავრებიათ 83 მოსწავლეს და ამ გვარად თითო კურს დამთავრებული სკოლას 25000 მანეთი დაჯდომია. ეს მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლა“.

ვინც წინამძღვრიანთ-კარის სკოლას სრულიად არ იცნობს, ის მართლაც გაოცდება ზემოთ ამოწერილის ციტატის შინაარსით. მაგრამ საკმარისია გაეცნოთ სკოლის ანგარიშებს, რომ ბ-ნ ტ—ს უვიცობა და მით მისი მოსაზრების სრული უსაფუძვლობა თქვენთვის აშკარა შეიქმნეს. „უსაქმო კაცის“ შესახებ ქართული ანდაზა ათას რაღაცას ამბობს და რა გასაკვირველია თუ ბ-ნმა ტ—მაც თავისებური ანგარიში წარმოადგინა. თავისებური მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ის არ ემყარება არც არავითარ საიმედო ცნობებს და არც უთანხმება გონივრულად მოაზრე ადამიანის ნავარაუდევს. მაშ საიდან გამოატყვრინა ამ დალოცვილმა ის 2560 მანეთი, რომელიც თითო მოსწავლე დამჯდარა? საჭირო იყო ეჩვენებინა, თუ რა საბუთებზე ამყარებს ის ამგვარ ცნობას, მაგრამ რადგანაც მან ეს არ ინება, იძულებული ვართ ჩვენ მაინც გამოვარკვიოთ ეს საკითხი.

როგორც მოგახსენეთ ამის შესახებ მხოლოდ ერთი ბეჭდვითი ცნობა არსებობს, სახელდობრ სკოლის ანგარიში 1901 წელს გამოცემული. ამ წიგნაკის მე-24 გვერდზე აღნიშნულია ჯამი მთელის 18 წლის განმავლობაში სკოლაზე დანახარჯ თანხისა, რაიცა უდრის 99,243 მანეთს. იქვე მეორე (25) გვერდზე ნაჩვენებია სპეციალისტების მიერ შეფასებული მინიმალური ღირებულება სკოლის უძრავ-მოძრავ ქონებისა, რომელიც, რასაკვირველია, დღეს სკოლის კუთვნილებას შეადგენს და რომლის რაოდენობაც უდრის 69159 მანეთს. ამავე დროს განმავლობაში სწავლა დაუმთავრებია 56 კაცს, ხოლო სკოლაში უსწავლია სულ 328 მოსწავლეს. თუ ბ-ნმა ტ.—მ არ იცოდა უბრალო არითმეტიკული მოქმედება, რა უშავდა ეთხოვა იმავე სკოლის მესამე განყოფილების მოსწავლისათვის და ამ ციფრებიდან ის უანგარიშებდა, რა დაუჯდა დაახლოებით სკოლას თითო კურს დამთავრებული. და მართლაც რა დიდი ანგარიში ამას უნდა, რომ ბ-ნმა ტ.—მ ვერ მოახერხოს? საერთო ხარჯი უფილა 99243 მანეთი. ქონება ღირდა 69159 მანეთად. სწავლა დაამთავრა 56 კაცმა.

I. 99243—69159 = 30084 მანეთი.

II. 30084 : 56 = 537 მან. 21 კაპ.

მაშასადამე, თუ მთელ ხარჯს მარტო 56 კაცს მივაკუთნებთ, მაშინაც თითო კურს დამთავრებული 537 მანეთი ჯდება და არა 2500 მ., როგორც ეს ფანტაზიორ ავტორს მოლანდებია. მაგრამ ასეთი ანგარიში განა სამართლიანია? განა იმ 202 მოსწავლეს, რომელმაც საანგარიშო დროს განმავლობაში სკოლას თავი დაანება, ხარჯი არ უნდოდა? განა იმათ არ უძევთ წილი იმ 30084 მანეთში რომელიც მარტო კურს დამთავრებულებზე გავანაწილეთ? ანგარიშში იმათ შესახებ ასე სწერია: **„სწავლის განგრძობის საშვალების უქონლობისა და მუშა ხელის საჭიროებისა გამო სკოლიდან გაყვანილ იქნა 202 მოსწავლე, როცა მათ წერა-კითხვა შეისწავლეს“.**

წარმოვიდგინოთ, რაკი საქმე უსაბუთობაზე მიდგა, რომ უძრავ-მოძრავ ქონებას გარეშე სკოლას არა 30,000, არამედ 60,000 მანეთი დახარჯვია, მაშინაც თითო მოსწავლე 1000 მანეთი ჯდება და არა 2,500 მ. შეიძლება ბ-ნმა ტ.—მ ასეთი სასწაული დანარჩენ წლების ხარჯში აღმოაჩინა? ვნახოთ. 1901 წლიდან 1908 წლამდე სკოლის შემოსავალი, თუ ვიანგარიშებთ წლიურად 4000 მ., უდრის 28000 მანეთს, მაგრამ ამავე ხნის განმავლობაში სკოლამ ააშენა ერთი დიდებული შენობა, რომელიც სულ მცირე 12,000 მანეთი ეღირება. მაშასადამე ამ შვიდი წლის განმავლობაში სკოლის ხარჯებს მიმატებია 16,000 მანეთი, რაიცა ძველთან ერთად, შეადგენს: 99243 + 16000 = 115,243 მანეთს, მაგრამ ამავე დროს განმავლობაში ქონებასაც მიემატა 12,000 მანეთის ღირებულება, რაიცა ერთად. უდრის: 69159 + 12000 = 81159 მანეთს. ამ გვარად 115243 მ.—81152 = 34121 მან. მოსწავლეთა რიცხვი ამ ხნის (25 წლის) განმავლობაში უდრის 447, ხოლო კურს დამთავრებულთა 83 კაცს. ამ გვარათ 34121 მან. : 83 = 411 მანეთს.

ამ უბრალო ანგარიშიდანაც, რომელიც დამყარებულია სკოლის ანგარიშზე აშკარადა სჩანს, რომ თითო კურს დამთავრებული სკოლას არ დასჯდომია არა თუ 2500 მანეთი, არც მის მეხუთედად. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სკოლის დამაარსებელი ბ-ნი ილია წინამძღვარიშვილი მთელ თავის ნაშრომსაც ამ სკოლას ანდომებდა, რაიც ანგარიშში აღნიშნული არ არის, მაგრამ ბ-ნ ტ.—ს ნავარაუდევს, რასაკვირველია, ვერც ეს გაამართლებს მას სჩანს სრულიად არ გაეგება სხვა-სამეურნეო სკოლების ხარჯთ-აღრიცხვა და საალალ-ბედო ციფრებით უნდა ფონს გავიდეს. სამწუხაროა ეს მოვლენა საზოგადოდ, მაგრამ უმეტეს სამწუხაროა ამ შემთხვევაში, როცა თავის უვიცობით ავტორი ერთობ ყალბ ცნობებს ავრცელებს სკოლის შესახებ. გონიერება მოითხოვდა იმ პაწია ანგარიშს მაინც გასცნობოდა დალოცვილი მოამბე.

ნ. კალანდაძე.

(შემდეგი იქნება)

# იაპონიის ჯარის გაძლიერება

უცხოეთის სამხედრო პრესაში დაბეჭდილ ცნობებიდან ჩანს, რომ ომის შემდეგ იაპონიას თითქმის ერთიორად უქცევია თავისი ჯარი. იაპონიის ჯარში ამ ჟამად ითვლება 19 დივიზია. რუსეთთან ომის დაწყების დროს იაპონიას ჰყავდა სულ 13 დივიზია, ომის დროს შეადგინა 4 ახალი დივიზია და ომის შემდეგ კიდევ 3 დივიზია. ცხენოსან ჯარის პოლკებში ამ ჟამად ითვლება ოთხოთხი ესკადრონი წინანდელ სამი ესკადრონის მაგივრად. ამას გარდა დააარსეს ცხენოსან ჯარის ახალი ბრიგადა: ომის დროს ესეთი ბრიგადა იყო 2, ეხლა კი 3. იაპონელები აარსებენ ცხენოსან არტილერიის 6 ბატარეას. უმატებენ აგრეთვე ქვეითა საველე არტილერიას; აარსებენ მძიმე არტილერიის 2 ბრიგადას, ორ-ორ პოლკს თითოში; უმატებენ საინჟენერო რაზმებს და სხვა. თუ რა ძლიერ მიემატა იაპონიის ჯარს ომის შემდეგ, ეს ნათლად ჩანს შემდეგის ცხრილიდან:

| | ომამდე იყო | ეხლა არის |
|---|---|---|
| ქვეითა ბატალიონი | 127 | 229 |
| ცხენოსანი ესკადრონი | 55 | 77 |
| საველე ბატარეია | 75 | 150 |
| საინჟენრო როტა | 39 | 54 |

მუდმივ ჯარის მიმატების გარდა იაპონელები მხნედ აძლიერებენ სათადარიგო ჯარსაც. ომის დროს ყოველ მუდმივ დივიზიას ემატებოდა სათადარიგო ბრიგადა ოთხ ბატალიონისაგან შემდგარი, ხოლო ამ ჟამად თითო სათადარიგო ბრიგადა შესდგება 6 ბატალიონისგან. მაგრამ იაპონელები ამასაც არ სჯერდებიან და ცდილობენ, რომ ომის დროს ყოველ მუდმივ მებრძოლ დივიზიას მიემატოს ხოლმე თითო სათადარიგო დივიზია, ესე იგი რომ ომის დროს დივიზიების რიცხვმა ერთი ორად იმატოს ხოლმე შედარებით მშვიდობიან დროსთან. სამხედრო სამსახურის 3 წლიდან 2-მდე შემცირებამ ძლიერ მოუმატა სათადარიგო ჯარისკაცების რიცხვს, ამიტომ იაპონიას მობილიზაციის დროს არ გაუჭირდება გაცილებით მეტი ჯარის გამოყვანა, ვიდრე რუსეთთან ომის დროს.

იაპონიის ფლოტის გაძლიერებაზე ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობა.

მართალია იაპონიას მეტად ძლიერი ჯარი და ფლოტი ჰყავს, მაგრამ უფულობა უჭირვებს საქმეს და ამიტომ მას ამ ჟამად ომი არ შეუძლიანო, ირწმუნებიან ევროპიელი პოლიტიკოსები. ამ გავრცელებულ აზრს არ ეთანხმება შეერთებულ შტატების ელჩი, რომელმაც ამას წინად მისწერა თურმე ტოკიოდან თავის მთავრობას ვაშინგტონში; ეცადეთ, რომ ზოგიერთმა შტატმა უსამართლო კანონებით არ გააგულისონ იაპონელები, რადგან იაპონია ყოველ წამს მზადაა საომრადაო. მას დიდი ხანია დაარსებული აქვს განსაკუთრებული საიდუმლო საომარი ფონდი, რომელშიაც ამ წამს 300 მილიონი იენი (იენი—96 კაპ.) ოქრო აქვს დამზადებულიო. წარსულ ომის ხარჯებსაც იაპონია ამ საიდუმლო ფონდიდან ისტუმრებდაო. ფული ამ ფონდში შეაქვს ყველა შეძლებულ იაპონელს თავის ქონების დაკვალადო.

# კუნძულ კრიტოსის საქმე.

**ხმა ომზე.**

სალონიკში ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის მთავრობა საჩქაროდ ემზადება საბერძნეთთან საომრადო. ოსმალელ საზოგადოებას ეს ომი აუცილებლად მიაჩნია.

ვენაში ცნობა მიიღეს სტამბოლიდან: ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა საადმირალოს, ფლოტი მზად იყოლიეთ, რომ ყოველ წამს შეეძლოს კუნძულ კრიტოსისკენ წასვლა, თუ იქ საქმე გამწვავდაო.

**ახალი პროექტი.**

პეტერბურგელ დიპლომატთა წრეებში ხმა გავრცელდა, რომ მალე კრიტოსის მფარველ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი პროექტს წარადგენს, რომ კუნძული კრიტოსი, რომელიც ეხლა ოსმალეთის ავტონომიური პროვინციაა, გამოაცხადონ ვასალურ სახელმწიფოდ ოსმალეთის უზენაეს ხელმწიფების ქვეშ. პეტერბურგელი დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ ამ პროექტს მოიწონებენ როგორც დიდი სახელმწიფოები, ისე პირდაპირ დაინტერესებულ სახელმწიფოები: ოსმალეთი და საბერძნეთი. თუ ოსმალეთი დასთანხმდება ამ პროექტს, მაშინ კრიტოსის მმართველად დანიშნულ იქნება ალბად საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი მესამე, რომელიც წინად კუნძულის უმაღლეს კომისარად იყო.

**ავსტრია არ ჩაერევა კრიტოსის საქმეში.**

ავსტრიის მთავრობის ოფიციოზური გაზეთი „ალგემაინე ცაიტუნგი“ სწერს: თუმცა ავსტრია გულწრფელად თანაუგრძნობს ბერძნებს, მაგრამ მაინც იგი არ ჩაერევა კრიტოსის საქმეში, დაე სხვა სახელმწიფოებმა იმოქმედონ. ამბობენ, თუ კრიტოსი საბერძნეთს არ შეუერთდება, შეიძლება ბერძნებმა დაამხონ ეხლანდელი თავიანთი სამეფო დინასტიაო, მაგრამ ეს საბუთი მხოლოდ იმ აზრითაა მოგონილი, რომ ძალა დაატანონ და შეაშინონ დიდი სახელმწიფოები. დიდ სახელმწიფოებისთვის უფრო საშიში იქნება, თუ დაემხო ახლგაზდა ოსმალთა რეჟიმი, ხოლო ეს შესაძლებელი გახდება კრიტოსის ანექსიის შემდეგ. აბა მაშინ გახდება ნამდვილად საშიში მდგომარეობა ბალკანეთში. ამის გამო ავსტრია მოითხოვს, რომ კრიტოსი ძველს მდგომარეობაში დარჩეს.

# უცხოეთი

**იტალიის შეიარაღება.**

ევროპაში არა ჩვეულებრივი ამბავი ხდება. თვითეული სახელმწიფო სცდილობს, რაც შეიძლება მეტი ჯარი და ფლოტი ჰყავდეს. მართალია ეს ლტოლვილება დიდი ხანია არსებობს, მაგრამ რაც ეხლა ხდება ამისთანა ჯერ არაფერი ყოფილა. როგორც ვიცით, გერმანიამ გადასწყვიტა ძლიერი ფლოტი იყოლიოს, ეს, რა თქმა უნდა, შეუმჩნევლად არ დარჩა ინგლისს, იმ ინგლისს, რომელიც არაფრის გულისთვის არ მოითმენს, რომ მასზე ძლიერი ფლოტი ჰყავდეს ვინმეს,—მანაც გადასწყვიტა, რამდენსაც გერმანია გემს ააშენებს, იმდენს მე ავაშენებო. ამას მარტო ინგლისი არ სჩადის. გერმანიის რჩევით ავსტრიაც შეუდგა გემების აგებას. „რუსკ. ვედ.“ იტალიიდან ატყობინებენ, რომ მთავრობამ პარლამენტს სამხედრო საჭიროებისთვის დამატებითი ფული მოსთხოვაო. როგორც სჩანს, იტალიასაც სურს არ ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოებს და განზრახული აქვს მათ გვერდით იაროს. პარლამენტში და ისეც არავინ არის, რომელიც არა გრძნობდეს, რომ საჭიროა კარგი ფლოტის და ჯარის ყოლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობას წინააღმდეგობას არ გაუწევენ. პირიქით ოპოზიციას გადაწყვეტილი აქვს, დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს მთავრობას. მართალია ეს უკანასკნელნიც, როგორც სხვები, არა ჰყოფენ უარს, რომ იტალიას ჯარი და ფლოტი ესაჭიროება, მაგრამ სხვებთან ერთად ესენი თხოულობენ, იტალიას იმდენი ჯარი და ფლოტი უნდა, რამდენიც მას თავის დაცვისთვის დასჭირდებაო. ამიტომ რაც ეხლა ჯარზე და ფლოტზე იხარჯება საკმაო, საკმაო ეხლანდელი ჯარიც თავის დაცვისთვის, რასაც იტალია არ უნდა გასცილდეს, ამიტომ არც ერთი კაპეიკი იმის გარდა, რაც ეხლა იხარჯება! თუ ეს დიდი სახელმწიფოების სიიდან ამოშლის იტალიას, მით უფრო კარგი. თუ იტალიის ეკონომიური შეძლება ამას მოითხოვს, იტალიამაც ისეთი გარეშე პოლიტიკა უნდა აწარმოვოს, როგორსაც აწარმოებენ პატარა ჰოლანდია, პატარა შვეიცარია და პატარა ბელგია. ოპოზიციის აზრს ბევრი მომხრე ჰყავს იტალიაში და უფრო უმეტესად მშრომელ ხალხში, რაიც პირველ მაისის დემონსტრაციამ დაამტკიცა. და ეს არც გასაკვირველია, რადგანაც ყოველივე ხარჯი ხომ მარტო მათ აწვებათ. ამას გარდა, რაიც უფრო საინტერესოა, ოპოზიციის აზრს ემხრობა ბევრი სამხედრო პირი და მათ შორის გამოჩენილი გენერალი მარტინელი. ასე რომ „შეიარაღების“ მომხრეებს სერიოზულ მოწინააღმდეგეებთან მოუხდებათ ბრძოლა და რითი გათავდება ეს, ამას ახლო მომავალში დავინახავთ.

**განხეთქილება პარიზის „შრომის საყოველთაო ბირჟაში“.**

„რეჩში“ ვკითხულობთ: „შრომის საყოველთაო ბირჟის“ მთავარმა მდივანმა ნილმა და მის ამხანაგმა ტილმა ცენტრალურ კომიტეტში განცხადება შეიტანეს, ჩვენ თანამდებობას თავს ვანებებთო. საქმე იმაშია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად ნილმა სამთო მუშების ლანსის კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა. ნილსი ამტკიცებდა, რომ საყოველთაო გაფიცვას ვერ განვახორციელებთო. ნილის სიტყვით უკმაყოფილო დარჩა ცენტრალური კომიტეტი და (60 ხმით წინააღმდეგ 37) დაადგინა, ნილის სიტყვით უკმაყოფილო დავრჩითო. ნილსის გასვლა გამწვავებს „შრომის საყოველთაო ბირჟის“ რეფორმისტებსა და შეურიგებელ სინდიკალისტებს შორის ბრძოლას. ნილი ამ ცოტა ხანში აირჩიეს მთ ვარ მდივნად და ამას მუშები რეფორმისტების გამარჯვებად სთვლიდნენ. ეხლა, ამ უკანასკნელ დროის გაფიცვების გავლენით სინდიკალისტების განწყობილება ძირიანად შეიცვალა.

# რუსეთი

✦ **ფრაქციიდამ გასვლა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციიდან გასულან როდზიანკო და სხვები.

✦ **პოლტავის დღესასწაულები.** მინისტრთა საბჭოს დაუდგენია, რომ პოლტავის დღესასწაულების დროს პოლიტიკური დემონსტრაციები აკრძალულია. როგორც ვიცი პოლიტიკურ დემონსტრაციების მოხდენა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირებს უნდოდა.

✦ **„ჭეშმარიტი რუსთა კავშირი“.** ამ უკანასკნელ დროს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ დიდი უბედურება დაატყდა თავზე, დღე ისე არ გავა, რომ მათი მოღვაწეობიდან მათზე „საეჭვო“ არა გამოაქვეყნონ რა პეტერბურგში, მთავარ ეპისკოპოს ანტონისთან „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებს კრება გაუმართიათ. კრებას დაუდგენია ყოველი ღონე იხმაროს და დუბროვინის და სხვა ამისთანების საქმე ჩაჩქმალოს.

✦ **სათათბიროს საზაფხულო კანიკულები.** „ბაქოს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სახელმწიფო სათათბიროს საზაფხულო კანიკულებისათვის 6 ივნისს დაითხოვენ“.

✦ **სინოდის ობერ-პროკურორი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით სინოდის ობერ-პროკურორი ლუკიანოვი ამ მოკლე ხანში ობერ-პროკურორობას თავს ანებებს.

✦ **ბერების კრება.** „რეჩში“ ვკითხულობთ: „ხუთ ივნის მოხდება სრულიად რუსეთის ბერთა წარმომადგენლების კრება“

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პერმში 1, ხარკოვში 1, პეტერბურგში 3, ტფილისში 2, კამენეც-პოდოლსკში 1, უფაში 3 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: იურიევში 1, რიგაში 3, ვარშავაში 9, ხარკოვში 2, ტფილისში 1 კაცი.

✦ **ოქტომბრისტების ფრაქცია.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციიდან ფრაქციის თავმჯდომარის ამხანაგი როდზიანკო და პროფ. ალექსეენკო გადიანო. ამის გარდა ფრაქციიდან უკვე გასულან მღვდლები: ბელოვზოროვი და სპასკი.

✦ **ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლების კრება.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება ამ რამდენიმე ხნის წინედ შესდგა ორგანიზაცია, რომელსაც ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლების კრება უნდა მოეწყო და მოეწვია. «რანნეე უტ.»-ს სიტყვით უკვე გადაუწყვეტიათ, რომ ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლების კრება გამართონ ამა წლის ნოემბერსა და დეკემბერში.

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარი საბჭო.** „ნოვოე ვრემ.“-ში დაბეჭდილია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს წერილი. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ტყუილია ის ხმები, ვითომც მთავარ საბჭოდან წევრები გასულიყვნენ და ყველაფერი ეს გერცენშტეინის მოკვლის გამოქვეყნებას მოეხდინოსო“. წერილს ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე დუბროვინი და საბჭოს წევრები.

✦ **ქალაქის თავების კრება.** განზრახული იყო, რომ მოსკოვში სრულიად რუსეთის ქალაქის თავების კრება გაემართათ. კრება უნდა მომხდარიყო ივლისის პირველ რიცხვებში. ამის თაობაზე „რეჩის“ კორესპონდენტი მეჰკითხებია მოსკოვის ქალაქის თავს გუჩკოვს. გუჩკოვს უთქვამს, რომ ეს კრება შემოდგომაზე ადრე ვერ შესდგება, რადგან ამ მუნიციპალურ ბანკის პროექტი, რომელიც უნდა განეხილა ამ კრებას, საფინანსო კომისიას ჯერაც არ განუხილავსო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში 2, მოსკოვში 3, ხარკოვში 1, ეკატერინოსლავში 2, პეტერბურგში 4, ვარშავაში 1, კამენეც-პოდოლსკში 1, ორიოლში 1, ოდესაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კიევში 3, ეკატერინოსლავში 2, უფაში 1, ოდესაში 1, პეტერბურგში 2, ხარკოვში 1, ტომსკში 2, ვლადივოსტოკში 3 კაცი.

✦ **პსკოვის სინტენდანტო.** გუშინ ვწერდით, პსკოვის საინტენდანტოში რევიზიამ აღმოაჩინა, რომ მოხელეებს აუარებელი ფქვილი უპარნიათ. «რუს. სლ.» პსკოვიდან ატყობინებენ: პსკოვის საინტენდანტოდან გატანილი ფქვილის ნაწილი ადგილობრივ ამაღლების მონასტერში იპოვეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ხოლმის პოლონეთის [illegible]ფის წინააღმდეგ.** „რეჩს“ ვარშავიდან დეპეშით ატყობინებენ: „15 მაისს ვარშავაში პოლონელთა [illegible] კრება. კრებას დაესწრნენ ყველა პოლონური კავშირის საზოგადოების წარმომადგენლები. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რეზოლიუციაში კრება პროტესტს აცხადებს ხოლმის პოლონეთიდან გამოყოფის შესახებ. რეზოლიუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია, იმედია რუსეთის ყველა ერები შეერთდებიან და კონსტიტუციას განამტკიცებენო“.

✦ **ახალი თანამდებობა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მთავრობას გადაუწყვეტია ახალი თანამდებობა შემოიღოს —სატუსაღოების კონტროლიორისა. ამ უკანასკნელის მოვალეობა იქნება რუსეთის სატუსაღოებს დრო გამოშვებით რევიზია გაუკეთოს ხოლმე.

# განცხადებანი

## მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისის.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.)

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) სააგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის— სააგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). სააგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასასყიდად დაურიგდებათ წიგნის მაღაზიებს

ვასილ ყიფიანის

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ფასი 40 კაპ.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

**სურამში**

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო სააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკე'ი**. ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწდომი: **ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი**. შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—4)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.